თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N6

ქ. თელავი 2023 წლის 18 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, გელა ესიტაშვილი, ბაადურ გულიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **სოფიო ოხანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** მოქალაქე **სოლომონ ნერსეზაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

3. ანი ნერსეზაშვილის მიერ ქ. თელავში, სეხნიაშვილის ქუჩაზე მდებარე 286 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა რომ, სოფელ რუისპირში ცხოვრობს გაჭირვებული უსახლკარო **ზურაბ ტერტერაშვილის** ოჯახი, რომელიც შემოვიდა განცხადებით მისთვის უზუფრუქტის ფორმით მიწისა და შენობის გადაცემის შესახებ. წარმოდგენილია მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

დავით ღაღანიძემ აღნიშნა რომ, ოჯახის ერთადერთი საარსებო საშუალება არის ამ ქონებით სარგებლობა, მას წინა პერიოდშიც ჰქონდა გადაცემული სახლი. გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

დავით ღაღანიძის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს 2: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით,

დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა რომ, სოფელ გულგულაში ცხოვრობს **ალექსი ღარიბაშვილი** ოჯახით, რომელიც შემოვიდა განცხადებით მისთვის უზუფრუქტის ფორმით მუნიციპალიტეტის მიწისა და შენობის გადაცემის შესახებ. წარმოდგენილია მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა რომ, ოჯახს არ გააჩნია სახლ-კარი და გამოთქვა მოსაზრება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ალექსი ღარიბაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს 3. ანი ნერსეზაშვილის მიერ ქ. თელავში, სეხნიაშვილის ქუჩაზე მდებარე 286 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა რომ, **ანი ნერსეზაშვილის** მიერ მიცემული მინდობილობით საკითხის განხილვას ესწრება **სოლომონ ნერსეზაშვილი,** რომელიც განმარტავს პირობის შეუსრულებლობის გარემოებას.

სოლომონ ნერსეზაშვილმა განმარტა რომ, მშენებლობის პირობა ნაწილობრივ შეასრულა იმის გამო განვლილ პერიოდში დიდი თანხა დახარჯა ნაკვეთში ჭა-ბურღილის, მწვანე ზოლისა და პარკინგის მოწყობაზე. მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი გარემოება იყო პანდემია და მოითხოვა პირობის შესრულებისთვის დამატებით ორი წლის ვადის განსაზღვრა.

მიხეილ დაღუნდარიძემ აღნიშნა რომ, გასათვალისწინებელია არგუმენტები და გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: ანი ნერსეზაშვილის მიერ ქ. თელავში, სეხნიაშვილის ქუჩაზე მდებარე 286 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის

გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა რომ, ჰოლდინგმა მოითხოვა სახელმწიფო საკუთრებაში სოფელ ლეჩურში არსებული ამბულატორიის შენობის გადაცემა.

ეკატერინე ონიკაძემ აღნიშნა რომ, ჰოლდინგი უზრუნველყოფს სოფლის ამბულატორიის ფუნქციონირებას და დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ეკატერინე ონიკაძეს დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ დასვა საკითხი მერიაში რეკომენდაციის გაგზავნის თაობაზე, რომ ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიაზე ამოტანილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მომზადდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, 53-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ, სამართლებრივი აქტი უნდა შეიცვადეს დასაბუთებას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ასევე, სამართლებრივ აქტს დანართის სახით უნდა ერთვოდეს ის წერილობითი დოკუმენტაცია, რომელსაც ეფუძნება სამართლებრივი აქტი.

სხდომაზე **ლევან ბერძენაშვილმა** და **ალექსანდრე შათირიშვილმა** დასვევს საკითხი, რომ მოხდეს ადგილობრივი ქონების განკარგვა კომისიის მიერ გასულ წელს უკვე გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების თელავის მუნიციპალური დოკუმენტის საფუძველზე მომზადებულ დასკვნას ელექტრონული ფორმატით გაზიარება მოხდება კომისიის თითოეულ

წევრთან და ამის შემდეგ, დასკვნა რეკომანდაციის ფორმით გადაეგზავნება თელავის მუნიციპალიტეტის მერიას.

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი